



№ 20	1917	შპსი ფელიწადი მინათა
პშირბ მინის 14	15 კ	გამოცემისა

ისე არ მოგვკვდე...

1.

ისე არ მოგვკვდე, არ დაეხუკო
 სამიწეთვალი,
 რომ არ გიხილო, სატროვ ჩემო,
 თავისუფალი!

2.

ისე არ მოგვკვდე, არ ჩავიდე
 ოხერ კუბოში,
 რომ ძღვევის დროსა არ აღმართო
 ჩემს სამშობლოში!



კაკი წორეთელი

პირველი ქართველი სოციალისტი მინისტრი

(იხ. ამავე ნომერში).

ს ა დ ლ ე ი ს ო

ბურჟუაზიულ წყობილებაში ბურჟუაზიულ რევოლუციის დროს სოციალისტური პარტიის წევრმა მთავრობის წევრობა არ უნდა იკისროს.

ასეთ ხანაში მთავრობის მოწყობა ბურჟუაზიის საქმეა, დემოკრატია კი ფრთხილათ უნდა იდგეს დარაჯათ მთელი ხალხის ინტერესების კართან და ბურჟუაზიას რაც შეიძლება მეტი უფლებანი გამოჰპოვოს.

რუსეთის ბედ-ღბალი, დემოკრატიის თავისუფლება დღეს დიდ განსაცდელშია და ამ გარემოებამ აიძულა სოციალისტები, მინისტრების პორთფელები ხელში აეღოთ.

რას გააკეთებს ასეთი კოალიციონური სამინისტრო?

შესაძლებელია, კოალიციონურმა სამინისტრომაც ვერ დააკმაყოფილოს რუსეთის დემოკრატია და რევოლუციამ სულ სხვა გზა აირჩიოს, სხვა გვარი მთავრობა გამოიყვანოს სამოქმედო ასპარეზზე.

ხოლო ამ ეპოქაში საყურადღებოა შემდეგი გარემოება: სოციალისტები ბურჟუაზიას ამოუდგენ გვერდში, ერთი მთავრობა შეადგინეს და თანხმობითა და ერთად მოქმედებით უნდათ ქვეყნის ხსნა.

მიუხედავად იმისა, თუ რა ნაყოფს გამოიღებს, ასეთი ერთად სიარული ბურჟუაზიისა და სოციალისტებისა, ნაბიჯი მაინც ფრიად გონივრულია. ცხოვრება თეორიაზე მაღლა სდგას და იქ, სადაც ცხოვრების მოთხოვნილებას თეორია ეწინააღმდეგება, პირვილში უნდა გაიმარჯვოს, — თეორიამ ცხოვრებას უნდა დაუთმოს ალაგი.

პეტროგრადს რომ თავი დაეანებოთ და გადაეხედოთ კავკასიას, რას დაეინახავთ?

კავკასია დასახლებულია მრავალი ერებით. ყველა ესენი კულტურულათ ერთნაირ პირობებში არ იმყოფებიან. ეროვნული ურთიერთობა ბევრგან გამწვავებულია.

თუ რუსეთის გარეშე მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, შინაურიც გართულდება; ანარქია იმატებს, კონტრ-რევოლუცია აუცილებლათ წამოაწყობს თავს.

კონტრ-რევოლუციის ერთი ნაცადი იარაღი პროვოკაცია და განზრახ შეთხზული ქორია.

პროვოკაციამ მოგვცა ცხრაას ხუთში ხოცვა-ჟლეტა სომეხთა და მაჰმადიანთა შორის. უსათუოდ პროვოკაციამ გამოიწვია აზერუმში მაჰმადიანთა აწიოკება.

ამგვარივე პროვოკაციისათვის ნადაგი მზათ არის ჩვენში; ბნელი ძალები მხოლოდ დროსა და შესაფერ პირობებს უცდიან.

რა მიმდინარეობას მიიღებს რევოლუცია, არავინ არ იცის. შესაძლებელია, ის მართლაც უსისხლო რევოლუცია გამოადგეს და დემოკრატიული წყობილება ადვილათ დამყარდეს რუსეთში.

შესაძლებელია, რევოლუციამ სრლებით გადალახოს ყოველგვარი „კანონები“, დროებითი მთავრობა და რუსეთი საშინელი შეხლაშემოხლის ასპარეზით გადაიქცეს.

უკანასკნელი გზა რომ აირჩიოს რევოლუციამ, რა მოხდება მაშინ ჩვენში?

ჩვენი ქვეყანა გადაიქცევა ეროვნებათა საშინელ შეხლა-შემოხლის ასპარეზათ. ძმათა სისხლი რომ უგუნურათ დაიდვრება, პროვოკაციის წყალობით რომ გამეორდება უარესი სიძლიერით ის, რასაც ცხრაას ხუთში ალაგი ჰქონდა სომეხ-მაჰმადიანთა შორის, ამაში მე არავითარი ეჭვი არა მაქვს.

მერე ვაკეთებთ რასმე, ვართ მზათ, რომ ეს საშინელება თავიდან ავიცილინოთ?

არც მზათა ვართ, არც არაფერი კეთდება. ვერც თბილისის კომისარიატი, ვერც კავკასიის კომისარიატი, ვერც ადგილობრივი სალდათთა და მუშათა დეპუტატების საბჭო ვერას გააწყობს და გაარიგებს ამ მხრივ, თუ ისევ ამ დაწესებულებათა დახმარებითა და ხელმძღვანელობით არ დაარსდა კავკასიის ინტერნაციონალური საბჭო. აქ უნდა შედიოდნენ ჯარის კაცთა და მუშათა წარმომადგენლები, პარტიები და ეროვნებათა წარმომადგენლები.

თურქებს, ლეკებს, ინგუშებს, ჩერქეზებს, სომეხებს, ქართველებს, რუსებს, ოსებს — ყვე-

ლას უნდა ჰყავდეს აქ თავისი ჯარის კაცი, მუშა, პარტიის კაცი და საერთოთ ერის წარმომადგენელი. ამ საბჭომ უნდა შეიმუშაოს და გამონახოს ყველა ის ზომები და საშუალებანი, რომლებითაც საჭიროა ბრძოლა ყოველგვარ პროვოკაციასთან ჩვენში.

საჭიროა დღესვე მუშაობა ამ მხრივ, აუცილებელია დღესვე ზომების მიღება, თორემ ხვალ რა მოხდება, რისი მოწამე ან მსხვერპლი გავხდებით, არავინ არ იცის.

ივ. გომართელი.

უკვდავი იმედი

მატუარა, წარმავალი და მომავლადგია ფელაიკე. უკვდავი მხოლოდ იმედი. იმედია, რომ შკლავიანეს დარდს უქარგებს, იმედია, რომ სისხლის ცრემლებს გვიშრებს და კეთილ მომავალს გვზინდება. ეს ასე იყო, უფთილს და იქნება. ვისაც იმედი დაუკარგავს, ის მუდამ სასოწარკვეთილების მისხვერპლია.

იმედი დიადი და უკვდავი ჩამრჩენულებს შერ: აღსდგება დაცემული, ძველის ნანგრევებზე აღიმართება ახალი, უფრო მტკიცე და ძლიერი. და მით სისაჩუქს მიიკრეცებს. დმერთმა ქნას, სემგნით უკვდავად წოდებული იმედი მართლაც უკვდავი შეიქნეს და შეესძლოს აღდგენა ჩვენი დაღუპული ქართული თეატრისა, უფრო მტკიცე და ეროვნული სახის გამომეტყველი, ვინემ წინად იყო.

მართალია, უამრავი გასაჭირი ადგია კარზე დღეს ქართველ ერს, მაგრამ არც ერთ გასაჭირს არ ჩამოუყარდება ჩვენს დედა ქალაქ თბილისში საკუთარი თეატრის აშენების საჭიროება. და იმედია სამშობლოს ბედის ნავის შესაჭეები სამშვიდობო და საკეთილ გზისაკენ გაქანებენ ჩვენი ერის ბედის ნავს.

იმედია ქართულ ხელფენების პატივმცემელი აღმსარებელი უხვად გამოჩნდებიან და უხვ შემოწირულებით გააძლიერებენ თეატრის ასაშენებელ ფონდს, რომ რაც შეიძლება ადრე ვეღარსოთ ეროვნული ხელფენების ტარს, და სტენის ქურუმთ მივცეთ დროისად მუდრო თავშესაფარი ბნის, რომ ფრთა გააშლენინონ ხელფენების ნიჭს და შემოქმედებას.

ამასთანავე გვზანნი ჩემს წვდილს თეატრის ფონდის გასაძლიერებლად და მოუწოდებ ქართველ ქალებს, მოაწოდონ თავიანთი მადლიანი ხელით, თავიანთი წვდილი, შექლებისა დაგვანად და მით შეუწონ ხელი სამშობლოს კეთილდღეობის საქმეს, რომ მომავალმა თაობამ ვაგვანად არა სთქვას ჩვენზე: სამშობლოს საკეთილად სრულებით არ უზრუნიათო. ყველა ქართველის მოვალეობაა ხელი შეუწონს ამ დიად საქმის დაგვირგვინებას და იმედიც დიდი მაქვს, ყველა ჩვენგანი შეიგებს ამ ვაღდებულებას და არ დაზოგავს თავის წვდილს საჭირო თანხის გასაძლიერებლად.

კლავდია ვაბუნია

მშვენიერი ზმანება

არ მახსოვს რა დრო იყო მაშინ, მხოლოდ ის კარგათ ვიცი, რომ პირველათ ბაღში შემხვდა... ოთხი ნაწნავი, მაყვალვით შავი თმა კოკებზე სცემდა და ყელ-შედერებულს ხელში ვარდ-ყვავილების მშვენიერი და სურნელოვანი თაიგული ექირა.

არ ვიცი თაიგულით ამაყობდა ის, თუ თაიგული მისით...

ლერწამივით მოქნილი ტანი მომზიბლავ ქანდაკებათ ქცეულიყო და ჯადოსნური, შავი თვალები პატარა ჩიტისთვის მიეპყრო, რომელიც მახლობლათ იასამანის ბუჩქზე იჯდა და თავდავიწყებით გაჰკიოდა სიყვარულის ლექსებს...

ლამაზი და მიმზიდველი სახე მისი შუქს ჰფენდა იქაურობას... და მხოლოდ მაშინ, როდესაც პატარა მომღერალმა ჰანგები შეასუსტა, ის ყვავილოვან ბუჩქზე ჩამოჯდა, თაიგული მუხლებზე დაიდო, იქვე აიღო გრძნეული ჩანგი და გრძნეულათვე აამღერა... არც ის ვიცი ვინ ვის ეცილებოდა... ბუღბული მას, თუ უკანასკნელი ბუღბულს... მხოლოდ ის კი კარგათ ვიცი, რომ მის სიმღერაზე ყველა სმენათ იქცა...

ყვავილების მოაშიყე სიო სიხარულის ბუჩქში გაეხვია და იქვე, ჯადოსან მომღერალთან გაიყინა...

ბუღბულიც ახლო მიფრინდა მასთან და

თავდავიწყებით ყურს უგდებდა უბადლო მომღერალს... რომ მომხიბლავი ჰანგები ესწავლა მისგან... უწმინდეს გრძნობებით შთვრალმა ვერ მოვიტოვინე და მისდა მოსახვევად წინ წავიწიე... მაგრამ მშვენიერესმა ასულმა იგრძნო ეს და ჯადოსნური თვალები შემომანათა...

მსწრაფლ გაეკვავდი იმავ ადგილს და უნოთ შევცქეროდი ღვთაებრივ ქმნილებას...

გარინდებულა ვისმენდი ციურ აკორდებს, რომლებიც გულში მიფრინდებოდნენ... მატყუებდნენ...

მინდოდა რაღაც მეთქვა...

თაყვანი მეცა მისთვის... მაგრამ ვერ შევძელი... ის კი გრძნეულათ ილიმებოდა და ცეცხლივით მწველ ისრებით გულს მიგმირავდა...

საოცნებოთ შორთულ ბაღში კი სამარისებური დუმილი სუფევდა... უბადლო მომღერლის მომჯადოებელ ჰანგებს დაემონა ყველა.

შესწყდა ჯადოსნური სიმღერა... თავდავიწყების ბურანში მითვლემილი სიო ძლივს გამოერკვა და თავისებურათ ჩაურბინა ყვავილთა ბუჩქებს...

გრძნეული კოცნით გამოაფხიზლა ისინი და მონასმენი მათაც გადასცა... მათაც აგრძნობინა ციური ჰანგები... მე კიდევ დიდხანს, დიდხანს ვიდრეკი იმავ ადგილს და თვალს ვერ ვაშორებდი მშვენიერების ასულს... ის კი გრძნეულათ მელიმებოდა და სუსტ აჩრდილივით მიახლოვდებოდა...

„მე ვარ ასული მშვენიერებისა!.. აი ეს ჩანგი და ეს თაიგული!.. და იყოს ამ თაიგულივით შენი მუზა ლამაზი და მრავალფეროვანი!.. ეს ბაღიც შენთვის ჩამიბარებია, ხომ ჰხედავ როგორ მშვენიერად ჰყვავიან აქ ვარდ-ყვავილები... ეცადე, არც ერთი არ დასქენეს... არც ერთი არ დაზრეს!—მითხრა მან, სიყვარულით ჩამიკრა გულში და ორთავ თვალები ჩამაკოცნა... სიხარულით თავბრულამესხა...“

მისდა მოსახვევად ხელები გავიწოდე, მაგრამ ის სადღაც გაჰქრა... სადღაც დაიშალა... და ხელში მხოლოდ გრძნეული ჩანგი და ათას თვალი თაიგული შემრჩა... მაშინვე გამიღიმეს ვარდ-ყვავილებმა...

მშვენიერმა ზამბახმა თავი დახარა სიამოვნების ნიშნით... ცელქმა სიომ გადამიკოცნა შუბლი...

ჯადოსანი ბუღბუღი მომესალმა გრძნეული ჰანგით და სიხარულის ნიშნით სამჯერ ჰაერში შეიფთხრიალა... აჭიკჭიკდნენ სხვა ფრინველნიც...

ახმაურდა ანკარა წყარო... აშრილდნენ ფოთლებიც და ყველა ერთად ხმა შეწყობილათ სადიდებელ ჰიმნს ქმნიდნენ... მესალმებოდნენ...

და მის შემდეგ მუდამ თავს ვეველები იმ ბაღს...

მშვენიერების ლექსებით ვაჟღერებ ჩანგის წყრიალს სიმებს...

სიყვარულით თავს დავტრიალებ ვარდ ყვავილებს...

ვუფთხილდები თითოეულ მათგანს..

სამარადისო ჰანგებს ვუთხზავ მათ...

ლ. ძიძიგური.

მიტინგიდან დაბრუნებული

(გურული სცენა).

—გამარჯობა შენი სიკოიავე.

—ღმერთმა გაგიმარჯოს ძმაო ნიკო.—

—სად ყოფილხარ, კაცო, ამ მამალ ოთხშაფადს?—

—რავა სათ ვყოფილვარ, ძმაო, ქუჩაში ხომ არ ცხოვროფ, შე კაცო.. ქვეყანა გადატრიალდა, ნიკოლოზე ტახტიდან ძირს გადამოტრიალდა, და შენ—სათ ყოფილხარო, მეკითხები? სათ ვიყავი და იქინე ჩ—ში დიდი მიტინგი იყო და იმას დევსწარი.

—ვაი, ბიჭოსიკოიავე, გამგებოდა ქე არ გავადენდი ფხეკას!—იქინე ქე ვიცი დიდი ამბავი იქნებოდა; ცხრაას ხუთში რომ იყო დენ ცოციალისტებმა ტრიგუნაზე ასვლა და აუარებელი ხალხი იყურებდა იგენის რეჩს.—

—მიტინგი იყო, ძმაო ნიკოია, მარა რა მიტინგი! ისე ჰუჭუნქელასავით ისვრებოდა ქვეყანა, რომ ძალდი პატრონს ვერ ცნობილობდა, ქალები და კაცები ერთქამეთს აჯდენ ზრუგზე; ბიჭებმა და გოგუებმა თლათ გაამვრეს ერთქამეთს ტანზე თუ რამე ეცვათ.—

— შენი ტყავი კი ვნახე სიკოია ცხვირადე გამძვრალი; კაცს საუკუნე გიკვანკვალე-ბია, ცალი ფეხი სამარეში გიღვანა და კილომ ბერი ხარის არ იყოს აბრახუნებულხარ და რაცხა ეშმაკობაზე ლაპარაკოფ.

— მართლა მიყურე ნიკოია და იქინე გეტყვი რა ამბავი იყო: გამეიტანეს მინდორში ერთი სტოლი, იმაზე მეორე შეადგენ, მეორეზე მესამე და შეიქნა ტრიგუნა; აქით-იქით გაჩერებულიყო ორი ცოციადისტი; რაფარც კი მოვიდოდენ სიახლოვეს სხვაი ცოციადისტები, ეტეკებოდენ და ზე შეადგედენ, და იყვირებდენ: ილაპარაკებს პატივცემული მოქალაქეო. ბევრი ქე იყო მართლა პატივცემული მარა ერთი ორი იმფერი გამევიდა, რომ იმის პატივისცემა საზოგადოებისა სტორეთ არ გამიგონია; იგი კი გამიგონია, რომ ცხრაას ხუთში კაი ასიანები გადაყლაპა და ქონება ფადლოკით მიიძასა. ხო და იმას გიჩიოდნი ნიკოია. შვენიერი სიტყვიბი ილაპარაკეს ჩვენ და სასარგებლოთ. იმდენი იყვირეს, იმდენი, იმდენი რომ ქიპზე კილამ გასკდენ საწყლები. იგენს კი ვენაცვალე ყიაში სულ ზვენი გულიზა იბრძოდენ და სარგებლობაც მოგვიტანეს.

— რა სარგებლობა სიკოია, ახალი ხომ აფერი გამუშუცხადებინ?

— იგენმა თლა ვერ თქვეს თვარა, იმას დიდი გოგონს ლაპარაკი კი არ უნდა, რომ იგი ხაზინის და გურიელ-დადიანის მიწები რომაა სუყველა ჩვენ დაგვირიგდება.

— შენ პირს სიკოია კრიპუტი; მაგი თუ მართალია ღარიბი და ლატაკი კი ვარ მარა ერთ მაკარიჩს მაინც კი ვადაგიხდი.

— მიწა მეტი რა მოსახმარია ძამია. ნ თუ ნ ქცევა წინწიპურე მეც ქე მაქ მარა იმაზე ხვესი აფერი მიყონ, გაისიზა თუ ცოცხალი დავრჩი ამ ეწრუვას თლა დავტიეფ და იქინე შევიწვევ სარჩოს თუ არა კაცმა წამამწარა.—

— ვინ უნდა წაგამწაროს? შე გაქირვებულო, რაფა კილომ გეშინია? ველარ გეიგე რომ გათენდა შენდა! — ისიკოვ-კუხალაშვილ-ზაკუსოვ-ბერიძე-გელაძის თუ გეშინია, იგინი ცინეში აყვლიპინებენ თურმე ახლა თვალებს. იგენს ყველას ოზრუგეთში უყრიან თავს.

ჩვენ გურულებს მოუთხოვიენ აქით წამოგვი-რდინეო. —

— ვაი ბიკო სიკოია, ერთი ისიკოვას ვიგ-დებდე ხელში და მერე მოვკვე შე თუ გინდა აღარ ვჩივი. იმ ჩაჩანმა რომ მათრახით მცემა უკან ახლაც კი მეწვის და მჩნია მისი მოხაზულობა; მარა ახლა მადლობა დმერთს, იგენის ქირსაც ხომ მოვესწარი და აწი თუ გინდ ქე მოვკვდე აღარ ვჩივი, მშვიდობით სიკოია!

ცეცეს მეგობარი



შრომის სამეფოში

(იხ. „თ. და ც.“ № 19)

II

რამოდენიმე წელია გაირბინა მას შემდეგ, რაც კოსანდილემ მკაზეჯვარი დაიწერა. ამ ხნის განმავლობაში მკა და კოსანდილე საკმაოთ მოტყდენ. ერთხელ მაზი მკა უკვე ჩამოღრა და, ხნოვანობით მცირეს, თმაში თეთრი გაერია, კოსანდილე კი წელში მოიხარა მძიმე შრომით და უფრო სიღარიბეში ჩავარდენ. წინეთ ორნი იყვენ, მაგრამ მათ შვილები შეეძინათ, ორი ქალი და ერთი ვაჟი და უკვე ხუთი სულია. კოსანდილე შვილების აღზრდაზე, ოჯახის მოწყობაზე, მიწის ყრდვაზე ფიქრობდა, მაგრამ დრომ გაიარა და ყველა მისა განზრახვამ უქმად ჩაიარა: შეძენის მაგიერ ვალი დაედო და ბოლოს დღითაც და ღამითაც ეწეოდა შრომას.

მართალია კოსანდილეს სამი შვილი ყავდა, სამივე საღი და კარგები, მაგრამ სამაგო ერთ სანახევროდ მშიერი და ტიტველნი; უნდოდა ბავშვების აღზრდა, ყოველ წუთში მათზე ფიქრობდა, მაგრამ არაფერი ეშველა.

— როგორ წავიდა ჩემი საქმე, რას ვფიქრობდი და რა მდგომარეობაში ჩავარდი!... ამოიოხრებდა ხშირად წელში ორად ზოხრილი კოსანდილე და ძლიერ დაღონებული შეხედავდა სხვის შვილებს, როცა უკანასკნელნი სკოლისაკენ მიემურობოდნენ და თავისი შვილები კი ამავე როს მშიერ-მწყურვალნი და ტიტველნი სახლში ყავდა. ყველა ეს ძლიერ ცუდ გავლენას ახდენდა კოსანდილეზე,

მარა ის მაინც გულს არ იტეხდა და რაღაც იმედს ეძლეოდა, მისი ხშირ უიმედობას ხანდისხან იმედლიანობაც ეწვეოდა.

— ვინ იცის, შეიძლება მოეწყოს რამე, იქნებ გადმოგვხედოს ღმერთმა! გაიფიქრებდა და იმედლიანი სიტყვით დაანუგეშებდა ცოლ-შვილს, — ნუ გეშინიათ, ღმერთი მოწყალეა, დღეს წახდა ჩემი საქმე, მარა ხვალ უკეთესათ წავა.

გადიოდა დრო. კოსანდილეს მდგომარეობა სულ ირყეოდა; უფროსი შვილი, ნცვლათ სკოლაში შეყვანისა, ჯერ კიდევ თორმეტი წლის მოჯამაგირეთ გაისტუმრა ერთ მახლობელ სოფელში შემამულესთან.

— სად მიგყავარქმამა? ეკითხებოდა იმ დღეს თავისი შვილი კოსანდილეს, როცა კოსანდილე ამზადებდა შვილს გასასტუმრებლად.

— სად, და დიდი კაცისას, მუშაობას გასწავლის, საქმელს გაქმევს, ტანზე ჩაგაცმევს, შვილო! მოფერებით ეუბნებოდა მამა შვილს, დედას კი შვილის გამოთხოვებაზედ ცრემლები აღგებოდა თვალზე. თვით პატარა სიკო (ასე ეძახდნენ მას) ძლიერ მოწყენილი იყო, ეძნელებოდა ბინის მოშორება, გრძნობდა, თავს კარგი არაფერი მადგიაო, და ამიტომ მასაც ცრემლები ერეოდა. ბევრჯერ მიუმართავს მამისათვის: „მასწავლეო“ მაგრამ სურვილი ვერ აუსრულა მამამ. მართალია მიაბარა ერთხელ აღგილობრივ პირველ დაწყებითი სკოლაში, მაგრამ ერთ თვეში უკენვე გამოიყვანა...

ხანგრძლივმა შრომამ, მუდმივ შეუსვენებლობამ უკვე საკმაოდ გაღაზა კოსანდილე. ორმოცი წლის კაცი ღრმა მოხუცებულს დაემგზავსა... ვერ აიტანა დღელამ ტანჯვა და ადრე გამოეცალა წუთი სოფელს, თავისი იმედები ან წაიღო ცივ სამარეშ და უპატრონოთ დასტოვა ცოლ-შვილი. კოსანდილეს შემდეგ მაკას აღსაზრდელი დარჩა ორი შვილი და მთელ ოჯახზე მას უნდა ეზრუნა.

შავ-კაბა მაკა მთელი ზაფხულის მზიან დღეებში ყანაში მუშაობდა, კოსანდილეს მაგიერობას ეწეოდა, მაგრამ მაინც ვერაფერი გახდა: თან და თან დასუსტდა, მასთან ეზოლობე დაერღვა, ქობიც დაუძველდა, ასე რომ წვიმის დროს წყალი ჩამოსდიოდა. ისედაც

სუსტი არსება უღონო გამოდგა ცხოვრებასთან გამკლავებაში.

უმცროსის უფროსი ოლია უკვე წამოიზარდა, მაგრამ სანახევროდ ტიტველი, თან მორცხვი იყო და ვარეთაც არ დადიოდა. ის გრძნობდა რომ ტანს არ ეცვა და რცხვენოდა სხვა ბავშვების. მიუხედავად ცული აღზრდისა, სიმშლიისა, უტანსაცმელობისა, ოლია კარგი შესახედავი იყო ბავშვობისას, მიმზიდველი სილამაზისა, კობტა, ჩქარი მოსაქმე და ცოცხალი. დედას ოლია გატაცებით უყვარდა. მეზობლები ხშირათ იტყოდნენ ოლიაზე:

— დიდებული ქალი იქნება, რომ სიღარიბე ხელს არ უშლიდეს, თუ გაიზარდა ნანდვილი ანგელოზი გეგონებო.

ახალგაზდები გაიძახოდნენ:

— მაგის გაზრდას თუ მოვესწარით, ჩვენ ვერ გაგვექცევო...

— ორ-სამ წელიწადში ძან სათამაშო ვარდი გვეყოლებაო.

ოლია წყნარი ბავშვი იყო, თავდაქერილი, მხოლოდ მუდმივ მოწყენილობა ეტყობოდა და დედას არ შორდებოდა. მამის სიკვდილის შემდეგ უფრო სევდიანათ იყო პატარა ოლია.

— სად არის ბაბაი? ნეტაი როდის მოვა შინოო? — ხშირათ ჰკითხავდა დედას და რაკი შეკითხვაზედ ვარკვეულ პასუხს ვერ მიიღებდა, ატირდებოდა.

სწავლისაკენ ოლიასაც ქონდა თვალი. ხშირათ მიმართავდა დედას, როცა თავის ტოლებს სკოლისაკენ მიმავალს დაინახავდა, — მე ლოის შემოყვან კლასშიო.

ობლათ დარჩენილი ოლია დედამ ასე თუ ისე აზარდა. ის უკვე ხუთმეტი წლის შეიქნა, ტანი გაეზარდა, მხოლოდ მეტად ხმელი აგებულეა ჰქონდა, ერთი შეხედვით სულ არ მიგვიზიდავდა ადამიანს, მაგრამ როცა დააკვირდებოდით, იტყოდით რომ ეს ახალგაზდა ადამიანი არ ყოფილა ბუნებრივ სიმშვენიერეს მოკლებულიო.

ოჯახის გაძლოლა მაკას გაუძენლდა. მოჯამაგირეთ წასულმა შვილმა ვერაფერი დახმარება გაუწია, ქალიშვილებიც წამოიზა-

რდენ და მაკას მდგომარეობა უნუგეშო გახდა.
 —რა წყალში ჩავარდე! რა ვქნა! საწყალი შვილები რა დღეში მყავს? ხშირად კენესოდა ასე მაკა. მაკას წინ გადასაწყვეტი კითხვა დაუდგა შვილების ბედის შესახებ, მან ვერავითარი საშუალება ვერ გამოიხატა, თუც ყველას ეხვეწებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ოღონო მოიშორა და გულ-დაწყვეტილი გაისტუმრა ქალაქისაკენ. ის გაატანა ერთ თავის მეზობელს, რომელიც შორს ქალაქში მსახურებდა მდიდარ ვაჭართან ნოქრად.

მეტათ სამწუხარო იყო ოღონოს გამოთხოვება. პატარა ოღონო, ჯერ ეზოს გარეთ გაუსვლელი, სადაც შორს ემზადებოდა წასასვლელად. მას თვლები ცრემლებით ქონდა ავსილი, ღრმა დაფიქრებული შესტკეროდა დედას, თითქოს ეუბნებოდა: რისთვის მომიძულე, რისთვის მაგდებთო.

დედა კი არიგებდა შვილს:

—შენ იცი შვილო, როგორ ქვიანათ იქნები, როგორ მოუვლი თავს, დაიცავ შენს ქალობას, ყოჩაღათ დაუხვდები ხვედრს, ფულს იშოვნი გზათისათვის და ადრე მოხვალ სახლშიო, —არიგებდა დედა, არიგებდა, მაგრამ მაინც დაფიქრებული იყო, სევდიან სახეზე მწუხარებას უენიშნავდით: შვილი მოვიძულეო.

წავიდა პატარა ოღონო ქალაქისაკენ, მოშორდა სოფელს, ისე რომ არც გაუცინია. დატოვა დედა ძვალტყავათ ქცეული და პატარა დაი, იქ, ღარიბულ ქოხში, სადაც აღიარდა.

ა. უუეისპირელი.

(გაგრძელება იქნება)

არც მატეიანე

არც თუ ისტორია.

თითქო თავი I

ქალაქ ქ—ში გ—შვილის გორაზე (იმ გორას დღესაც ასეთი სახელი ჰქვია), ვინმე ჩხეტიას სახლში გვქონდა წარმოდგენა.

ვთამაშობდით ყაზბეგის „არსენას“ და დ. მესხის „ოთხ იმერელს“.

სცენა ტახტებზე იყო მოწყობილი...

ტახტები განსაკუთრებით ოთახის იმ ნაწილის კუთხესთან იყო მიდგმული, სადაც ფანჯრა იყო რომ არსენას ზაქაროს მოკვლის შემდეგ შესძლებოდა ფანჯარაში გადახტომა. სახლი ორ სართულიანი იყო და სწორედ იმ ფანჯარასთან მოზღდილი თბრილიც იყო.

არსენას თამაშობდა ბეკიჩა.

იმ ღამეს მარტო ვოდვეილში უნდა მეთამაშნა, ასე რომ „არსენაში“ თავისუფალი ვიყავი და ბეკიჩმა მითხრა:

—ფანჯრის იქით თბრილის ძალიან მეშინიან და გადახტომის დროს გარეთ დამხვდი და მიშველეო.

ვდგევიარ და ვუცდი.

გაღებულ ფანჯრიდან მესმის არსენა —ბეკიჩის უკანასკნელი სიტყვები.

დავემზადე და...

თქვენს მტერს ისეთი მე რომ დავინახე! გაშმაგებული არსენა—ბეკიჩი, ზაქარას მოკვლის შემდეგ შემოხტა ფანჯრის მოაჯირზე და ხელში გააღმასებულნი ხანჯალი ულაპლაპებს!

მოდო და მიეშველე თუ ბიჭი ხარ!

სწრაფად გაუხტი განზე.

ბეკიჩმა ისკუპა და თბრილში ყირამილა გადავიდა!

მოვკურცხლე!

საბედნიეროთ არა დაშავებია რა, მხოლოდ მე კი განზე გახტომისათვის სამიოდე მუჯლუგუნი მომხვდა გვერდებში.

გათავდა „არსენას“ წარმოდგენა და ვთამაშობთ ვოდვეილს.

მოგეხსენებათ „ოთხ იმერელს“ სარევიზიტოდ სქირდება ყველი, ჰური, კალობასის ნაქერი, ღვინო (რასაკვირველია წყლიანი).

ზაფხული იყო.

წარმოდგენა საერთოდ გვიან დავიწყეთ, ამას დაუმატეთ ჩვენი უცოდინარობა თეატრალურ ტენლიკაში, დაგვიანება გრიმებისა და ტანისამოსის გამოცვლის დროს და მიუხვდებით, თუ რისთვის გაგძელდა ნაშუაღამევის პირველ საათამდე ჩვენი წარმოდგენა.

ჰო და ყველას ძლიერა გვშიან.

სცენაზე კი წასახემსი არის, ამიტომ ფარდის დახურვას ყველა გაფაციცებით უცდის კულისებში, რომ სწრაფად სცენაზე მოექცეს,

ფეხები თითო ნაკერი ყველისა და პურისა ხელთ იგდოს.

და აჰა, ფარდა დაიხურა!

შევცვივდით სცენაზე და წავესიენით სუფრას.

მაგრამ ყველაფერს ბედი უნდა!

ფარდა, რომელიც უბრალო კანაფზე იყო გაბმული, გაწყდა და ჩამოვარდა.

სახოგადობაში—(რომელიც სასაცილო ვოდვილიში ჩვენი წარმოდგენით ვერ გავამხიარულეთ)—ჩვენს ასეთ მდგომარეობის დანახვით, გაისმა საშინელი, თავშეუკავებელი ხარხარი.

თავ-გზა დაგვებნა!

გავრბივართ

ერთი მეორეს თავზე ვახტებით და, თითქო თოფების ტაკაცა ტაკუციო, კრიალ-კრიალით ჩატყდა ჩვენი სცენის ტახტები.

კახ, კახ, ტრრ!

შემდეგ ნომერში (თუ გუნებაზე ვიქენი) მეორე თავის მაგიერს გაგაცნობთ.

ვანო ბარველი.



* * *

საქართველოს ია-ვარდი

გაიფურჩქნა, გაიშალა;

მუშა წელში გაიმართა,

მოიპოვა მკლავში ძალა!

საქართველოს ხმები ყველგან

იფინება, როგორც ია,

მონობიდან ჩვენც გამოგქრეთ

პირი რალას დაგვიღია?

გამოვიხსნათ ჩვენი ღედა,

გამოვიხსნათ საქართველო,

რომ ვარდებით მოიფინოს

ჩვენი ქვეყნის მთა და მღელო.

გაიოზ იმედაშვილი

6
19—17 წ.
V



პირველი ქართველი მინისტრი

კაკი წერეთელი

განახლებულმა რევოლუციონერმა რუსეთმა კვლავ პირველ რიგზე წამაყენა დემოკრატიისთვის მებრძოლ-წამებული კაკი წერეთელი, რომელმაც ხალხის განთავისუფლებისათვის დიდი ტანჯვა და სასჯელი გადაიტანა.

გუშინდელი კატორგელი, ციმაბინს მიკრული, გუშინდელ ბატონთაგან დევნილი, დღეს უკვე მთელი ხალხის მიერ ხელისხელ საგოგმანები და რუსეთის ახალი მთავრობის წევრი, ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი შეიქმნა.

ასეთია რევოლუციის ძალთა ძლიერება!

ვინ არის კაკი წერეთელი?

კაკი, იგივე ირაკლი, ჩვენი ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის შვილია, დისწული ნიკო ნიკოლაძისა, დაბადებიდან მან წ. საშუალო განათლება მიიღო თბილისის მეორე გიმნაზიაში, შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა. აქ იგი მიიხეულო იყო სათვისტომთა წარმომადგენელად. სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობის გამო 1901 წ. ციმაბინს გაიგზავნა; 1903 წ. სამშობლოში დაბრუნებისათვისავე უფრ. „კვადი“-ს ხელმძღვანელობას შეუდგა, 1907 წ. არჩეულ იქმნა მეორე სახემწიფო სათათბირის დეპუტატად, ქუთაისის გუბერნიის მხრით.

სათათბირში იგი სოციალდემოკრატიულ ფრაქციის მესვეურად შეიქმნა, მალე სახელი გაითქვა, როგორც საუკეთესო ორატორმა არა მხოლოდ რუსეთში, არამედ საზღვარ გარეთაც. უფრედი მისი სიტყვა, უფრედი მისი გამოსვლა ზეიმი იყო სათათბირში და უცხოეთის გამოჩენილი სახემწიფო მოღვაწეებიც დიდს ქებათ იხსენებდენ.

მეორე სათათბირში იგი დაითხოვეს, კაკი ამხანაგებთან ერთად განსამართლეს, საკატორგელ განსჯეს და მრავალ ციხეში ტანტადის შემდეგ ციმაბინს გაგზავნეს.

რუსეთის რევოლუციამ, სხვათა მრავალთ შორის, კაკისაც მიანიჭა თავისუფლება. დროებითმა მთავრობამ იგი დიდის პატივით გამოიხსნა

ხეტრკრანდს; თუშტა კაკი უკვე დააფადმოფეგუ-
თი იუა, მაინც რუსეთის სატასტო ქალაქისკენ
გაქმურა, სადაც ფეთქდა გულის დემოკრატიისა და
გაუბა რეგულაციის ქარტეხილში.

რეგორც ვსთქვით დღეს იგი ახლად შე-
ქმნილ საშინისტრას (ფოსტა-ტელეგრაფის) უფ-
რისა და რუსეთის განახლებულ მთავრობის
ერთი დირექტორი წევრთაგანი. რუსეთის დემოკ-
რატიის ამოცანის ამ მადლ-დირექტორულ დემოკრა-
ტიულად, მით უმეტეს სიამაყე გუმართებს
ჩვენ—ბედურულ საქართველოს შვილებს, რადგან
იგი—კაკი—ჩვენი ქვეყნის შვილია!

ქვეყნის უკვე მხედვეს, რა გვარ ღმრთებს ზნდის
„ეს მანაწა საქართველო“, რა გვარ მებრძოლთ
აწვდის დიდს რუსეთს არა თუ სამხედრო ასპი-
რებს, არამედ სამთქალაქო და სასემწიფო მო-
ღვაწეობის ასპირანტებს.

და, ეს მოგვინა მაინც შექმნიეს ჩვენის
ქვეყნის დარღვეულ უფლებათა აღდგენის წინ-
დად!...

გაუმარჯოს რუსეთის მებრძოლ დემოკრა-
ტიას!

გაუმარჯოს მატარა საქართველოს დადს
შვილს კაკი წერეთელს.

იოსებ იმედაშვილი



კოტე მესხი—ნაპოლეონი, გარდაცვალების
მ წლის შესრულების გამო.

გ უ შ ი ნ დ ე ლ ნ ი

(გაძელება იხ. „თ. და ც.“ № 19.)

9

„სტრაჟნიკი“ გორგასლანიანი. მატარა კა-
ტი, დეგენერატის ტიპისა. სულ იდმიჭება. სხეუ-
ლი კი ძალიან მოქნილი აქვს. შემოდის, იდ-
რიჭება და მასრის უფროსს გამოეჭიმება ჰე-
ჰე-ჰე! რას მიბრძაებთ, ვაშე ვისოკობლაგო-
როდღე?

მაზ. უფ. აი კენინას და ახალგაზრდა
კნიაჟნას უნდა იახლო. წაიყვანე კიდევ
ორი სტრაჟნიკი...

გორგას. ჰე-ჰე-ჰე! სლუშიიუს, ვაშე ვი-
სოკობლაგოროდღე.

კნ. ჩიტ. რა გაცილებს, ბიჭო?.. გამარჯ-
ვება შენი, დღეს არ მინახვხარ... გაციანი,
ნათესავთ მოგვხდება, კნიაჟნა ფაცოა...

გორგას. ჰე-ჰე-ჰე (ვერ ბედავს ხელის ჩა-
მართმევას. მასრის უფროსი ანიშებს დასტურს
ისინი რაღვე ქაღს ხელს ჩამოართმევს.)

მაზ. უფ. Нузь, распорядитесь князь..

გორგას. (გამოეჭიმება)

მაზ. უფ. Живо...

გორგას. (ისკუშებს და აივინსკენ გადას-
ტებს)

კნ. ჩიტ. მაშ ჯერ-ჯერობით ნახვამდის!

მაზ. უფ. До свиданія очарователь-
ная княгиня!.. княжна!..

მალხ. კენინა, სადილზე არ დაგვაგვი-
ნოთ.

კნ. ჩიტ. არა, არა. (კადან ის და ფა-
ცია).

კეკელა (შემოდის. მალხაზს) კაცო, სადა
ხარ? სუფრა სად გავშალოთ?

მალხ. ეზოში, ეზოში... კაკლის ქვეშ...
ან Ваше высокоблагородіе, სად ინებებთ
სუფრა გავაწყოთ?

მაზ. უფ. სადაც გინდათ?

მალხ. აქ, აივანზე ვერ დავეტყვით..

მაზ. უფრ. ეზოში იყოს, კაკლის ძირს,
თქვენებურად, მამაპაპურად.

მალხ. (კეკელას) ეზოში, ეზოში...

კეკ. (სიღუმელს კილოთი მალხაზს) ბერა,
მოდი აქ!..

მალხ. რა იყო! (მოდის)

ქექ. კაცო, მოგვხედე, რამდენი საქმეა (გაიუჯანს ქმარს და თვითონაც გადას).

პრისტავი. (მაზრის უფროსს) А вы знаете, ваше высокоблагородие, софелს უნდოდა თავის გაქირვებაზე თქვენთვის მოუზენებია...

მაზრ უფრ. (ეშმაკურათ გაიფინებს) ჰა, ჰა! знаю, знаю!..

პრის. ჰა, ჰა... ვერ გაბედეს...

მაზრ უფრ. ვერც უნდა გაბედონ... ციც, ზომები მიიღეთ, რომ ჩემთან არავინ კრინტი არ დასძრას სოფლის გაქირვების შესახებ.

პრის. მე უკვე მამასახლისს დიდი ხანია ჩავაგონე ეგ აზრი...

მაზრ უფრ. ჰო, კარგა მოქცეულხართ.

პრის. აკი არც არაფერი მოგახსენ, თ თავის სიტყვაში...

მაზრ უფრ. Старая лиса... ბებერი კულა-მელაა... იცოდეთ, როგორც გამოვაცხადე კიდევ: მე აქ საქმეზე არა ვარ ჩამოსული... ისე საქმიფოთ...

პრის. მესმის, თქვენო მაღალ-კეთილ-შობილებავ!..

(ამსობაში კაწია და მის გნეინას რადტ, გაცხს-რეპული დახაჩაკი ქქონდათ)

კაწია. (წინ წამოიწევს) ბატონო ნაჩალიკო...

მაზრ უფრ. Что прикажете князь?..

კაწ. ცოტადენი საქმე მაქვს თქვენთან.

პრის. კნიაზო, საქმეებისთვის ახლა არა გვცალი. —

კაწ. არა, ისეთი საქმე მე რა მექნება... ისე მინდა...

მაზრ უფრ. Ничего ему можно... რაშია კნიაზო, საქმე?

კაწ. რა არი, ბატონო და... რა კი ღმერთმა გვადირსა და აქ მობრძანდი...

მაზრ უფრ. (სასე მოკლეუშება)

კაწ აჰა, სხვას უკეთესს ვილას ვეტყვი ამ ამბავს..

მაზრ უფრ. (წამოადგება, გამოიჭიმება, ზნაზღნიკისა სასეს მიიღებს)

პრის. (ბაძავს უფროსს)

კაწ. რამდენი სიმდიდრე გვაქ, ბატონო და ვინაა პატრონი და მომვლელი?..

მაზრ უფრ. (ცოტა სასტიკათ) რაშია საქმე?

კაწია. აგერ, ბატონო. (ამოიღებს ჯიბიდან მანქებს) ესაა, შენი ქირიმე და ბარტიკია... ამას უკვე ყავს თავისი მუშტარი...

მაზრ უფრ. (გაეცინება და დამშვიდებული ისეუ დაჯდება). Ахъ да!..

პრის. (თავისუფლად გაუერდება)

კაწ. ეს კიდევ, ბატონო, ოხრა გახლავს, საღებავი წამალი... ეს ქვა-ნახშირ-გახლავს..

მაზრ უფრ. თქვენ მთელი კოლექცი გქონიათ მადნეულობისა...

კაწ. ვაგროვებ, ბატონო, ვაგროვებ. მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი ეს ორია: გიშერი და ვერცხლი

მაზრ უფრ. როგორაო? ვერცხლი?

კაწია. (გადასრემს ვერცხლს. მაზრის უფროსი და პრისტავი გულ-მოდგინეთ სინჯავენ) ა, ბატონო, კი შენ ნუ მომიკვტე ვერცხლია, მარა ამას მე ეს გიშერი მირჩევენია..

მაზრ უფრ. გიშერი? (გამოაწმეგს სინჯავს). რა არის ეს გიშერი? (პრისტავს) Какъ это по-русски?

პრის. (გაწითლდება, მხრებს იწევს) Пе-могу знать, ваше высокоблагородие

მაზრ უფრ. (ატრიალებს გიშერს) Я тоже слабъ въ минералогіи...

პრის. მერე თქვენია; კნიაზო, ეს მადნეული? ბევრია?

კაწ. ბევრი იცოცხლე ეგ იყოს და... თლათ ჩემი არაა, მარა.

მაზრ უფრ. სად არის?

კაწ. იმე! თქვენ რაფა უნდა დაგიბლოთ, მარა ნუ გამიწყრები და...

მაზრ უფრ. აა, კნიაზ, ხინტრა-მინტრა!..

მაზრ უფრ. Чтожъ, это очень интересно...

კაწ. ახლა ამას გთხოვ, ნაჩალიკო, შენ ხარ ჩვენი მამა, ჩვენი პატრონი... შენზე უკეთესი ვილა გვყავს?!. მიაქცეე ამას ყუ რადლება და შენ ყველაფერი შეგიძლია... ოუხერხოთ ამ მადანს რაცხა.. ეგება ჰეტრე...

მაზრ უფრ. მესმის, მესმის... კაპიტალისტი გიშოვნოთ, არა?

კოწ. ჰო, შენი ჭირი, მუშტარი... შენ ცა და ქვეყანას იცნობ...
მაზ. უფ. ჰა, ჰა! ეს ჩემი საქმე არაა, მაგრამ რატომ?, Чтожъ, рекомендовать богатство своего уѣзда...

კოწ. ჰო, შენი ჭირი, მუხლებზე კი შემოგველე, გამიკეთე საქმე და ნახევარი შენი იყოს...
მაზ. უფ. (ეტყობა უკვე მოწეინდა ჯანსაღად) Хорошо... буду имѣть въ виду...

კოწ. უი, შენ გაცოცხლოს ღმერთმა... თავს უკრავს გაიმართება) დიდებული ყახახი არ, დიდებული...
მაზ. უფ. (გაბრაზდეს) ნახვამდის, კნიაზო, ნახვამდის...

კოწ. (მიდის აივანისკენ და მისი ცოლის მას გაიგონებს თუ არა, შედგება)
კოწ. კნენინა. (დიდი ხანია უნდა და ჯანსაღად ჩაბმულად) ნაჩლიკო, შენ შემოგველოს ჩემი თავი...
მაზრ. უფრ. (პრისტავს) Кто она такая?
პრისტ. Кажется супруга князя.- რა ნებაზე? საქმეზე არა ვართ ახლა მოსული-
კნენინა. არა, ბატონო, საქმე კი არა.- სათხოვარი მაქ შე გმქირებულს...
კოწ. (მობრუნებულია. შეუბუზღუნებს ცოლს) კარგია ახლა, ნუ აწუხებ... შენთვის ცალია სწორეთ...
კნენინა. არა, რა ვაწუხებ მე უბედური... შეწუხებას ჯვარი სწერია, მაგრამ მინდა ვთხოვო...
მაზ. უფრ: Хорошо, пусть говорить...
პრისტ. რა გნებაზე, კნენინა, რა სათხოვარი გაქვთ?
კნენინა. რა და გენაცვალოს ჩემი თავი... რაქაში, ბატონო, კომზირიძებთან... მე კომზირიძის ქალი გახლავართ... ერთი სანაწილო, მამაპაპული მთა გვაქ, გაუყოფელია, ბატონო და მეც ქე მაქ შიგ წილი... ქალი რომ ვარ, ახლა მე არა ვარ მამი ჩემის შვილი თუ?... ჰო და არ მანებებენ ჩემ წილს, ბატონო...
მაზ. უფ. ჰო, ეგ, კნენინა, რამდენათაც

გავიგე, მამულზე დავობთ... ეგ მე არ შემეხება. სულს უნდა მიმართოთ...
კოწ. ჰო და რომ არ დამიჯერა ამ ოჯახ-ქორმა... ბატონო, ვეუბნები წრეულს მეურვევანიე მოდის და...
მაზ უფ. ჰო, ჰო... სწორედ იქ უნდა მიმართოთ... მე არ შემეხება ეგ საქმე...
კნენინა. რა ვა არ შეგეხება. დალოცვილო, ხენწიფის ტოლი კაცი ხარ... მაგ ჩინტელაკებში გენაცვალე... შენ ყველაფერი შეგიძლია...
მაზრ, უფრ. არა, კნენინა, ეს სულს საქმეა... ან როდესაც მამულს დაკორნას დიწყებენ, მაშინ უნდა განაცხადოთ ოქვენი უფლება...
კოწ. ქალო, არ გესმის?.. დამიჯერეთ მეტი მერვევანიე მოვა...
კნენინა. დედა, დედა, რა მეშველება...
მაზ. უფ. რა ვაწუხებთ, კნენინა, ზემლემერი მოვა... აი თქვენ ქმარს კარგათ ცოდნია... დაუჯერეთ და...
კოწ. ვინ გიჯერის, ბატონო, თვარა...
კნენინა, დედა, დედა რა მეშველება!.. არავინ არაა ჩემი პატრონი...
პრისტ. ასეა, ბატონო... როგორც გიბრძანა...
კნენინა, აჰა, შენ შემოგველე, ნაჩლიკო...
კოწ. ბიჭო, კარგია ახლა, ნუ აწუხებთ თქვა.
კნენინა. არა. ბეჩა, რა ვაწუხებ, მარა ახლა ჩემი ძმისწულიზა მინდა ვთხოვო...
მაზ. უფ. (უნდა თავიდან მოიშორეს) რა გნებაზე?
კნენინა. შენი ჭირი, ნაჩლიკო... ერთი ოზოლი ძმის წული მყავს, ახალი ნასალდათარია და ქეა ჩემთან უსაქმოთ... ვთხოვ, შენი მუხლების ჭირი, სადმე სტრატეკათ მაინც ჩაინიშნინო...
მაზრ უფრ. აა! Ну это можно...
კნენინა. რუსული ლაპარაკი და წერაკითხვა ქე იცის საწყალმა ბალანამ...
პრისტ. კარგი, კარგი... რომ გიბრძანათ...
კნენინა. ჰო და იმას ვთხოვ, შენი ჭირი.

კოწია. კაცო, ნუ აწუხებ-მეთქი, წამოდი თქვა...

კნენია. რავა ვაწუხებ, ბეჩა, შეწუხებისგან ჯვარი სწერია.

მაზრ. უფრ. კარგი, კარგი, კნენია, გამოიგზავნეთ უეზღში, .. я буду имѣть въ диду.

კნენია. შენ შემოგველოს ჩემი თავი, (უნდა მუხლებზე მოკხვიას)

მაზრ. უფრ. (არ მიიკარებს, წამაყენებს) Хорошо, хорошо...

კოწია. კარგია ახლა, ნუ აწუხებ. (მიჭიკვს).

კნენია. დედა, დედა, რა მეშველება. (ჩადახან კიბეზე)

პრისტ. ძლივს არ წავიდნენ?

მაზრ. უფრ. Чудаки!.. (გაისწორებს) Какіе милые люди!.. (გაიფლ-გამოიფლის) აჰ, голова трещить отъ вчерашней попойки... კნენიასას ბევრი დავლიეთ.

პრისტ. კნენია ჩიტუნისას მშვენიერი ღვინოები აქვს.

მაზრ. უფრ. Да, да... славная хозяйка.

პრისტ. მწყალობელი კნენიაა ძალიან... განსაკუთრებით მაზრის უფროსებს წყალობს...

მაზრ. უფრ. Ну, ну. не завирайся.

პრისტ. (გამოეჭიმება) Извините ваше. высокоблагородіе...



ჯიბო (შემადის კარდახან, თითქო მოიპარება)

მაზ. უფრ. ეს ვილაა?

პრისტ. შენ რა გინდა აქ?

ჯიბო. თხოვნა მაქ მისართმევი ნაჩაღნიკთან.

პრისტ. ვერ გაიგე, ყაზახო, რომ გამოგიცხადათ ღღეს... საქმეებისთვის არ ვარ ჩამოსულიო?

ჯიბო. არა, ბატონო... საზოგადო საქმეზე მე როგორ ვაგებდავ მოსვლას... რა ჩემი საქმეა! (ქადაღდს ამოიღებს) დანოსი გახლავს, ბატონო...

მაზრ. უფრ. აჰ, დანოსი?.. Подлые люди. მოიტა რა არის?

ჯიბო. (უბნად უბიძახს მარჯას ამოიღებს,

დააკრავს ქადაღდს და მიართმევს. იქით-აქით ისუდება) ჩვენ მამასახლისზე ვახლავს, ბატონო... გაგვატყავა, ბატონო, შექამა სოფელი...

მაზრ. უფრ. (კითხულობს და იღიმება) Ахъ какіе подлѣцы.

ჯიბო. სოფლის ფული აქ შექმული, შენ არ მოუკვტი ჩემ თმეს... კაცი ბატონი, გამკითხავი არ ყავს... ძველი ნაჩაღიკი იყო და კული კულზე ჰქონდათ გადამზული... ახლა, ბატონო, შენ მოსვლას აღდგომასავით მეველოდით... ბევრი კარგი გაგვიგონია, ბატონო ..

მაზრ. უფრ. Хитрый мужикъ ..

ჯიბო (ქუდს მიწაზე დასხუთქებს) ასე ღმერთმა დამამხოს და წამაქციოს, რავარც მართალს მე ვამბობდე... *თუ არ მიაქციე, შენი ქირიმე, ყურადღება სულ თმეზე წამოგვაჯდა, ბატონო... ჩვენი არჩეული კაცი კი არა, ისე მოაქ თავი ვითამ ვეზღი ნაჩაღიკი იყოს...

მაზ. უფ. Хорошо, хорошо я это дѣло разслѣдую ..

ჯიბო. ნასტავლი ვარო, ბატონო და... რათ მინდა მაგისთანა ნასტავლობა... ის დღე კი დეიქცა, როცა მაგი ამევირჩიეთ...

პრისტ. ჰო, კარგი ახლა ნულა აწუხებ... წადი.

ჯიბო. შენ იცი, ბატონო... ა, რა? სათქმელი ბევრი მაქ, მარა პირი წყლით მაქ სავსე... შენ იცი ახლა, ნაჩაღიკო, მად გიწერია ყველაფერი...

მაზ. უფ. კარგი, კარგი... хорошо, .. я буду имѣть въ виду ..

ჯიბო. შენ შეიგვევლოს ჩემი თავი.

პრისტავ. აღარ წახვალ, ყაძახო?

ჯიბო. ა, ბატონო, მივდავარ, მარა... შენ იცი, ნაჩაღიკო...

პრისტავი. (ხელს მოჭკიდებს, ძალით მიჭკვავს) კარგი ახლა წადი, ნულარ აწუხებ. (შიი-უჯანს კიბესთან) თვითონ იცის როგორც ვაკეთებს საქმეს... წადი ჰო!..

ჯიბო. კი ბატონო, მავდივარ, მივდივარ... (იმალება).

პრისტავი. (აიენის სარისზეა გადაურე-ბული) Это что такое?, ვის მოასვენებენ ნეტავი?

მაზრ უფრ. რა იყო, რა ამბავია! (მოდის აივნის სართხსთან)

პრისტავი. (მოკრძალებით) აჰ, ეს დავრდომილი გენერალი ბერდოსანია...

მაზ. უფ. გენერალი?

პრისტავი. ნამდვილათ... აი ეგ კი გეტყვით ყველაფერს., სოფლის გაქირვებაზედაც მოუტირებლათ ილაპარაკებს და.

მაზ უფ. Да, да... совершенно вѣрно. Чортъ!.. მე განგებ არ წავედი მაგასთან ვიზიტათ... განგებ არ წავეყვი კნენია ჩიტუნის მაგის სანახავათ...

პრისტავი. უთუოდ ამ სოფლის მოკეთებმა ეგ უკანასკნელი იერიშიც მოიტანეს... გენერალი გამოუშვეს...

მაზ. უფ. Ну, ничего... Призовемъ всѣ свои дипломатическіе способности...

პრისტავი. თქვენ, Ваше высокоблагородіе, ყველაფერს მოახერხებთ...

3

კნ. ჩიტუნია, ფაცია და გორგასლანიანი
კნ. ჩიტუნია. (გარკვანჯე ეძახის) ელუარდ ერაზმოვიჩი... (შემოდის) ელუარდ ერაზმოვიჩი რა სტუმარი მოგიყვანეთ!.. Какого гостя я къ вамъ привела.

მაზ. უფ. დავინახე, კნიაგინა, დავანახე... Одинъ восторгъ, княгиня, მხოლოდ დიდი უზრდელობა კი დაგემართა: მე იქით უნდა ვხლებოდი...

ფაცია. ხომ ხედავთ რა ზრდილობიანიც არის ჩვენი მოხუცი.

მაზ. უფ. Одинъ восторгъ, княгиня.,

ფაცია. მხოლოდ ჩვენი ბრალი არ არის მისი მოყვანა., გზაში შეგვხდა... მოჰყავდათ კოდეც...

მაზ. უფ. (გარკვანჯიანის) შენ, კნიაზო, კარგათ უკავალრე ქალბატონებს?

გორგასლანიანი. ჰე-ჰე-ჰე! Радъ стяться, ваше высокоблагородіе...

შალვა დადიანი

(გაგრძელება იქნება)

ერთი წლის შედეგ *)

პირველი საფეხური საკაცობრიო ბრძოლისა უკვე განვლეთ. რევოლუცია ძლევამოსილებით დაგვირგვინდა, ომიც საპატიო ხაზით დასრულდა. რუსეთში უკვე დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობს.

წუხელ, 7 მაის 1917 წელს, პარლამენტის სხდომა იყო. უკეთეს ადამიანის თვალთვლად ნახავდა: მარცხენა მხარეს ჩამწკრივებულიყვნენ ქალაქის მუშები, მათ ზურგს უმაგრებდნენ გლეხთა კავშირის წარმომადგენელინი, რომელიც პარლამენტში დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ. არც საკვირველია, რადგან გლეხებმა თავიანთი თავი პოლიტიკურათ უზრუნველყოფილათ იგრძნეს, მაშასადამე ვისიმე აპეის ქვეშ ყოფნა საჭიროდ აღარ სცნეს. გლეხთა საქირბოროტო ყოველივე კითხვის გამოსარკვევათ თვითონ მოსულან თავინთი დაკოჟიებული ხელებით, რომ თავიანთ იარას თვით გაულესონ წამალი. იბრძვიან ქალაქის მუშებთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული. საბრძოლველი იარაღიც აქვთ. ეს არის ენა: დაბიურ რუსულ ენაზე ლაპარაკობენ, მტკიცედ და აუტყარებლად. მართალია, მათი სიტყვები ინტელეგენტურად ყველაფრით შეხამებული-შეფერადებული არ არის, მაგრამ სამაგიეროდ მუშის გულიდან არის ამოხეთქილი ნაღველითა, რომელიც ათას წლობით იყო მათ გულში დაგუბებული. აი ეხლა ამოხეთქა და ვაი მას, ვინც წინ გადაელობება. დიად, ვერაფერი ხელსაყრელი საქმეა მათი წინ გადალობება და ამისთვისაც არის, რომ კადეტების წაჯექ-უკუჯექობის პოლიტიკამ ელფერი შეიცვალა, ხალხის წარმომადგენლებმა სახალხო პარლამენტს ხალხის ელფერი მისცა და არა კადეტური.

აქ არის შესამე ჯგუფი, რომლის წევრნიც თავიანთ თავს ინტერნაციონალისტებს უწოდებენ. ესენი არიან აღჭურვილნი ორა-

*) ვებუდავთ ამ წერილს სრულიად უცვლელად როგორც ნიმუშს ჩვენებური მუშის საღი აზროვნებისა და ფხიზელი მსჯელობისას. ესთხოვთ სხვა მუშებსაც ხშირად მოგვაწოდონ თავისი ნახარ-ნაფიქრი წერილები. რედ.

ტორული ნიჭით. ასე რომ გარეშე მაყურებლებზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს მათი მკვერმეტყველური სიტყვები. აი ამ ჯგუფში შენიშნავთ ქართველთა წარმომადგენლებს, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ არც ერთი მუშა, არც ერთი გლეხი იქ არ ურევია, ე. ი. ესენი ქართველი ხალხის წარმომადგენლები არ არიან, უფრო ინტელიგენციის, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ბურჟუაზიის ლეიძლი შვილებია.

რათ მოხდა ეს? ჩვენი ხალხი იქამდე ჩამორჩენილია პოლიტიკურათ, რომ რუსის მუშა ყოფილ გლეხებთან არ იყვეს გამოსაჩენი? თუ რევოლიუციის ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ სისხლი არ დაუღვრიად?! არა: არც ერთი და არც მეორე ქართველი ხალხი.

პოლიტიკურათ საკმაოდ მომწიფებულა, ბრძოლაშიაც არავის გაექცევა, თუ პირველი არა მეორე ალაგი არავისთვის დაუთმია.

მაშ რაშია საქმე?

აი, რაშია: საბარლამეტო ბრძოლაში არც თოფია საჭირო, არც ხმალი, არც ხარბახანი, იქ საჭიროა ენა, ე. ი. სახელმწიფო ენა და, რადგანაც ჩვენ ენა არ ვიცოდით, საჭირო გახდა აპეკუნების ძებნა ვისაც რუსული კარგათ ეცოდინებოდა.

ვინ იცის რუსული ენა ჩვენში კარგათ? ვეჭილებმა, ინჟინერებმა, ექიმებმა და სხვა. ვინ არიან ესენი, ვის შვილებს შეეძლო დღემდის უმაღლესი სწავლის დამთავრება? ბურჟუაზიის შვილებს, შეუძლიანთ ამათ ზედმიწევნით ჩვენი ინტერესების დაცვა თუ არა?

მე ვიტყვი, რომ არა. ინტელიგენცია მანამდის უდგას მუშას გვერდში, სანამ თავის კერძო მდგომარეობას გაიუმჯობესებს და თუ ხელთ იგდო რაიმე უპირატესობა, მაშინ ის მთლად შენი აღარ არის. ამაზე ვერც ერთი შეგნებული მარქსისტი უარს ვერ მეტყვის, რომ ეს ასე არ არის და თუ ეს ასეა, მაშ ჩვენ ქართველ ხალხს სანამდის მიგვიწვევია ვინ ყოფილან ჩვენი მტრები: ავტონომისტები, რომელნიც ხალხს ეუბნებოდნენ თქვენი კიბ-ვარამი თქვენი ენით უნდა გამოხსთქვათო, თქვენს წყლულს წამალი თქვენი ხელით უნდა დაადოთო, თუ ის ინტელიგენტები, რომელთაც ავტონომია ბატონ-ყმობად მიზნათლეს,

ხალს სახელის ხსენებაც კი შეაჯავრეს. აი, დღეს მთელს საქართველოს მშრომელი ხალხის ბედ-იღბალს რუსულ გემოვნებით განაგებენ. ამაზე შორს მართლაც რომელი ბატონ-ყმობა წავა? ერთს მხარეს მთელი ქართველი მშრომელი ხალხი, მეორე მხარეს ერთი მუქა ინტელიგენცია, რომელმაც რუსული კარგათ იცის: ან უნდა ვეცმოთ მათ, ან არა და რაც ას-თექსმეტს წელს რუსეთის ბიუროკრატამ ვერ შეასრულა ჩვენი გარუსება, ეხლა ჩვენ თვითონ უნდა ვეცადოთ, რომ ყველამ ვიცოდეთ რუსული. ჩვენს დღეებს უთხრათ, რომ შვილებს რუსულათ უთხრან ნანა, რომ ამ საშუალებით იქნება ერთი სადებუტატო კაცი ჩვენს გლეხებსაც გამოეზარდოს. იქნებ ამ საშუალებით დავახწიოთ თავი ამ ახალ მოდის ჩვენს ყმობას.

ეს ყოვლად შეუძლებელიაო, — ვიცი იყვირებთ, თქვენ, მამაცხონებულებო, მაგრამ ეხლა რაღას უშველით, თქვენი ყვირილით! თუ ეროვნების, ენის, ზნე-ჩვეულების ე. ი. მთელი ქართული კულტურის დასამარება არ გსურდათ, მაშინ რად ყვიროდით: ძირს ავტონომიაო, არ გვინდა ატონომიაო! ეხლა ბევრიც იყვიროთ, ბევრიც იწუწუნოთ, გვიანდაა! გურული მუშა არსენა ხავთასი.

(„ხალხის თავისუფლება“ № 11).

წერილი აბგევი

ახალი პიესა „მუშათა არტელი“ დასწერა ნიკო გენცალაძემ.

ძარბ. ღრამ. დასის მიერ მაისის 8 სახ. სახლში წარმოდგენილეს „ჩან და მადლენას.“ აუარებელი ხალხი დაესწრო. პიესას მოკლე ხანში გაიმეორებენ.

„საფირონი-ს“ მეორე კრებული ამ თვის დასლევს გამოიცემა სანდრო შანშიაშვილისა და გოგლა ლეონიძის რედაქტორობით.

ივანე გომარათელის რჩეულ წერილები ტერიტორიალურ ავტონომიის შესახებ ცალკე წიგნად იბეჭდება.

ლადო დარჩიაშვილის რჩეული ნაწერები, ტერიტორიალურ ავტონომიის შესახებ, ამ მოკლე ხანში ცალკე გამოიცემა.

ძარბიველ მხვდარითა გაზეთი „ჯარის კაცი“ გამოვიდა. გაზეთი უმეტეს ყურადღებას აქცევს ჯარის კაცთა ყოფაცხოვრებას და ჩვენის ქვეყნის მდგომარეობას.

„ანგელოსთა აჯაყება“ პოემა ი. მქედლიოშვილისა რუსულ ენაზე სთარგმნა, სტუდ. ალ. ძიძაძემ.

თეატრი

სეზნი

თავისუფლები

მოქალაქე!

სამშობლო და თავისუფლება განსაცდელშია.

მტრის მისაგერებლად, რევოლიუციით შეძენილ თავისუფლების განსამტკიცებლად— საჭიროა ფული, ბევრი ფული.

დროებითი მთავრობა პირველად მოგმართავთ, თავისუფალ რუსეთის მოქალაქეო და გთხოვთ გაუმაგრეთ ზურგი, რათა ებძოლოს ძლიერსა და შეუბრალებელს მტერს, რათა განამტკიცოს დემოკრატიული წესწყობილება. ამიერ-კავკასიის ყველა ეროვნების მამული-შვილნო! გულგრილად ვერ მოვიქცევით როცა ემუქრებიან ჩვენს თავისუფლებას აქედან თუ იქიდან, ემუქრებიან იმ ჩვენს თავისუფლებას, რომელიც შეგვიძენია მით, რომ გაგვიწირავს სიცოცხლე რუსეთის საუკეთესო ძეთა, უნდა აღვიძრნეთ მის დასაცველად. რადგან მტერთან საბრძოლველად, თავისუფლების დასაცველად საჭიროა ნივთიერი ღონისძიება,— უნდა გამოვიღოთ ეგ ღონისძიება და გამოვიღებთ კიდევცა.

მოქალაქეო! გამარჯვება სესხისა დაამტკიცებს, რომ გვწამს რევოლიუცია. საჭიროა მთელმა ქვეყნიერებამ შეიგნოს, რომ რუსეთის მამულიშვილებს სწამთ რევოლიუცია. მაშინ ქვეყნიერებაც იწამებს რევოლიუციას. მაშინ თავისუფლების განმტკიცებაც გაადვილდება.

მოქალაქეო! განცხადება დროებითის მთავრობისა, მოაწერეთ ხელი თავისუფლების სესხზეო, მოწოდებაა, ჩვენის მოქალაქობრივი გრძნობის აღძვრა და ჩვენც, ქვემოთ ამისა ხელის-მომწერი პოლიტიკური ორგანიზაციები და პარტიები ვიზიარებთ მაგ მოწოდებას, აღვიძვრნეთ მამულისა და თავისუფლების დასაცველად.

მაშ, აღასრულეთ მოვალეობა სასახელო და საპატიოსნო.

მოაწერეთ ხელი თავისუფლების სესხსა და დაეხმარეთ დროებითს მთავრობას— მოიგერიოს მტერი და ბოლომდე მიიყვანოს ქვეყნის გადემოკრატების საქმე თავისუფლებისა, თანასწორობისა და ძმობის საფუძველზედა.

გამოიტანე, ეო თავისუფალო, შენი დაზოგილ-დაუნჯებული ღიდის საერო და საშვილიშვილო საქმის დასაცველად.

საზოგადო კომიტეტი თავისუფლების სესხისა
ამიერ კავკასიის საფლქო კომიტეტი სოცია-
ლისტ რევოლუციონერებისა
საფლქო კომიტეტი რუსეთის სოც. დემოკ. პარ-
ტიისა თბილისის ცენტრალური კომიტეტი და
შნაკტუტუნისა თბილისის საქალაქო კომიტეტი
საღმის თავისუფლების პარტიისა

ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი
მუხამათა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი
თბილისის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტი
საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი
ქართულ სოც.-ფედერალისტების სარევოლუციო პარტიის თბილისის კომიტეტი.

ხალხის თავისუფლება

(ხალხურ კილოზე)

დაიმტვრა მონათ ბორკილი,
განთავისუფლდა ერია;
დღეს ყველა გონზე ზოვიდა,
სუყველაც ბედნიერია.

ბნელ ძაღვებისგან დაიხსნა,
ტანჯულმა ხალხმა თაკია,
ძირს ჩამოაგდეს ნიკოლოზ,
რადგანაც იყო ავია.

არ იბრალებდა საწყალ ხალხს,
იყო მათ სისხლის მსმელია,
შეგრამ მას დემოკრატები,
როგორც რომ ქვეყნის მასწველია,
შეუჩნდნენ, ძირს ჩამოაგდეს,
დასძახეს დელა-დელაო,
აწ რესპუბლიკის მომხრენი
ვართ მთელი ხალხი—ყველაო!..

ივ. კრიხელი

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიის (ავტონომისტთა) გაზეთ

„ხალხის

თავისუფლება“-ზე

(წელიწადი პირველი. კვირაში ორჯერ)

ივანე გომართლის მახლობელი მუდმივი მონაწილეობით, მუშა და ჯარისკაც მწერალთა თანამშრომლობით და იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით.

გაზეთის მიზანია: მუშათა კლასის სამსახური, ეროვნული საკითხის ჰუმური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტთა გაერთიანება, და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულიარიზაცია ხალხში.

გაზეთის ფასი: წლის ბოლომდე 5 მან., თითო ნომერი-5 კ. ხელის მოწერა მიიღება: რედაქციის საკუთარ ბინაზე (ბაზრის ქ. № 20 ნ. არჯევანიძის სახლი, აღეჭსანდრეს ბაღის თავში, ხაზინის ზევით) და „სორაპანის“ სტამბის კანტორაში, ფოსტით: Тифлисъ ред. „Халхის Тавისუფლება“—Иос. Имедашвили რედაქტორ გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

„ახალი საკრებულო“

(ყოფილი ხარფუხის კლუბი) მიხეილის პრინციპი, № 129.

გადავიდა ხარფუხ ს საზაფხულო შენობაში ხეთშაბათს 11 მაისს, 1917 წ.

სიმეზიანი ორკესტრი.

სინემატოგრაფი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. სტუმრები ისღიან შესასვლელ ფასს—დედაკატები და სტუდენტები—50 კ., მამაკატები— 1 მ.

„თეატრი და ცხოვრება“

ორი პრემიით წლიურად ღირს 8 მ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „სორაპანის“ სტამბის კანტორაში მადათოვის კუნა № 1, ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховრება“—Иос. Имедашვილი.

ახალი კლუბი | კვირის 3 რუბლად | აპრილის 23-30

კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთები 50-30 კ.

ორშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

სამშაბათი — საოჯახო საღამო

ოთხშაბ. — სინემატოგრაფი, სიმეზი, ორკ.

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

შაბ. — საოჯახო საღამო

კვირა — რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 სათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8 1/2 სა. შემსახ. ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკატ. 1 მ

